საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 3

ქ. თბილისი, 16.05.2024, 15 საათი,
თსუ I კორპუსი, აუდიტორია N 115

სხდომას ესწრებოდნენ: ბერულავა გიორგი, გელაშვილი სიმონ, გოგიაშვილი ლიანა, დორეული ნანული, ებრალიძე თამარ, თვალთვაძე დარეჯან, მაჭავარიანი ლია, მეძმარიაშვილი ელენე, ნადარაია ელიზბარ, პატარიძე დიმიტრი, სანაძე რუსუდან, შალიკაშვილი მორის, ფიცხელაური ნატო.

დღის წესრიგი:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ დოქტორანტ **თამარ სიგუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება.
2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ დოქტორანტ **თამარ ხატიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება.
3. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ეკატერინე რუაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება.
4. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **თამარ ლოლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება.
5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ქეთევან ჯმუხაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **თინათინი მოსეშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **სოფიო ქადაგიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის

დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

8. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა“ დოქტორანტ **მარინე ჩანგიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

9. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ნინო ბეგალიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

10. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ქეთევან კვინიკაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

11. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **თორნიკე ხიდეშელის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

12. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **მაკა წულაიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

13. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **თეა კაველიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;

14. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **თამარ ბაქრაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;

15. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მარია ზუბიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;

16. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **შალვა კევლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;

17. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **თინათინი ღიბრაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;

18. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ დოქტორანტ **ნინო გაგნიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;

19. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **მათე ხვედელიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
20. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ბექა ზეგარდელის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
21. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **კახა ფალავანდიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. ღია კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოლოგია“ დოქტორანტ **თამარ სიგუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა მარიამ გაიდამაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „გენომური პარამეტრების შესწავლა ძუძუს კიბოს დროს“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან აღნიშნა, რომ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 7 პუბლიკაცია, მათ შორის 3 იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში. ისაუბრა ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 88 ქულით.
აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრმა ლია მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ დოქტორანტს ჰყავდა საერთაშორისო დონის სამეცნიერო ხელმძღვანელი და, შესაბამისად, დისერტაციაც საკმაოდ მნიშვნელოვანია.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დ. თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის

დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ სიგუასთვის** ბიოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

2. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ დოქტორანტ **თამარ ხატიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა მარინა რუხაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „სილიკაგელზე დაფენილი და კოვალენტურად იმობილიზებული ცელულოზა ტრის (3-ქლორ-5-მეთილფენილკარბამატის) შედარებითი დახასიათება ენანტიომერული ნარევების დასაყოფად მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფია მას-სპექტრომეტრიაში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, საიდანაც 2 იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალშია დაბეჭდილი. ასევე აღნიშნა, რომ დოქტორანტი ავტორია სხვა სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც არაა კავშირიში დისერტაციის თემასთან. მ. რუხაძემ ასევე ისაუბრა რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 9 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 98 ქულით.

აზრი გამოთქვა: ლ. მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ნაშრომი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დ. თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ ხატიაშვილისთვის** ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

3. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ეკატერინე რუაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა ქეთევან დადიანმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ტყვიის ზემოქმედების წყაროების გამოვლენა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებების გავლენა სისხლში ტყვიის კონცენტრაციის შემცირებაზე“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო

ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის მიერ უახლოეს პრიოდში, კერძოდ, ბოლო სამ წელში გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ; ასევე, ისაუბრა რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრიდან 6. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.
აზრი გამოთქვა: დ. თვალთვაძე აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია საკმაოდ აქტუალური ნაშრომი და მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დ. თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ეკატერინე რუაძისთვის** საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

4. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **თამარ ლოლაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა რუსუდან სანაძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „მედეგობის როლი მშობლის ფსიქოლოგიურ კონტროლს, სტუდენტების ინტერნეტის პრობლემურ გამოყენებასა და დეპრესიას შორის: მედიაციური და მოდერაციული ანალიზი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-დან 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.
აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილი დაინტერესდა სწავლების წინა საფეხურებზე დოქტორანტის აკადემიური ხარისხით.
მოისმინეს: რ. სანაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტს მინიჭებული აქვს 1998 წელს მკურნალი ექიმის კვალიფიკაცია და ასევე, არის ფსიქოთერაპევტი გეშტალტ-თერაპიის მიმართულებით.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დ. თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ ლოლაძისთვის** მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

5. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ქეთევან ჯმუხაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ასოც. პროფესორმა დავით მაზიაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ქალაქის მითოპოეტიკური ხატი ინგლისურენოვან მოდერნისტულ მწერლობაში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99,4 ქულით.

აზრი გამოთქვა: დ. თვალთვაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია საინტერესო ნაშრომი. მის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები აკმაყოფილებს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დ. თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ქეთევან ჯმუხაძისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

6. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **თინათინი მოსეშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასისტენტ-პროფესორმა თამარ გელაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „მეტაფიქცია როგორც იდეოლოგიის კრიტიკის მედიუმი გივი მარგველაშვილის გვიანდელ შემოქმედებაში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 8 წევრიდან 6. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თინათინი მოსეშვილისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

7. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **სოფიო ქადაგიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, ისტორიის დოქტორმა ზურაბ თარგამაძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ეთნიკურობის აღქმა შუა საუკუნეების საქართველოში ქართული ჰაგიოგრაფიული წყაროების მიხედვით (XI-XVIII საუკუნეები)“ - დაცვის პროცედურის შესახებ, რომელიც თითქმის 5 საათი გაგრძელდა. ასევე ისაუბრა ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების და დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 86 ქულით.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **სოფიო ქადაგიშვილისთვის** ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

8. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა“ დოქტორანტ **მარინე ჩანგიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა ელენე მეძმარიაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „აშშ-საქართველოს ურთიერთობები პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 88 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მარინე ჩანგიანისთვის** ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

9. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ნინო ბეგალიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ პროფესორმა ირინა ქურდაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „სახელმწიფო იმუნიტეტის როლი საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 87 ქულით.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ნაშრომი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დ. თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო ბეგალიშვილისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

10. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ქეთევან კვინიკაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, ასოც. პროფესორმა სერგი ჯორბენაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენა საკუთრების წარმოშობის თანამედროვე სამართლებრივ

სისტემებში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის პრაქტიკული საქმიანობის შესახებ, რომელიც პირდაპირ კავშირშია დისერტაციის თემასთან. ასევე ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციებსა და რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-დან 5 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 88 ქულით.
აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია აქტუალური ნაშრომი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ქეთევან კვინიკაძისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

11. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **თორნიკე ხიდეშელის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ასისტენტ-პროფესორმა ნინო გოგნიაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის სამართლებრივი საფუძვლები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 81 ქულით.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დ. თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თორნიკე ხიდეშელისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

12. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **მაკა წულაიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ასოც. პროფესორმა ვასილ გონაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „კანონის შექმნის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 77 ქულით.

აზრი გამოთქვა: დ. თვალთვაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი და აქტუალური ნაშრომი.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დ. თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მაკა წულაიასთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

13. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **თეა კაველიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასისტენტ-პროფესორმა პაატა ჯავახიშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის უფლებამოსილებები საგარეო ურთიერთობების სფეროში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-დან 5 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 88 ქულით.

აზრი გამოთქვა: დ. თვალთვაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტს კვლევა წარმოდგენილი აქვს დღეისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხზე.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დ. თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის

დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თეა კაველიძისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

14. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **თამარ ბაქრაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „საკომუნიკაციო სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის, როგორც სტრეს-ფაქტორის გავლენა ადამიანის ორგანიზმის ზოგიერთი ბიოქიმიური და იმუნოლოგიური პარამეტრის ცვლილებაზე“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: მამუკა გოგიბერიძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ყბა-სახის ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი; მარინა ნიკოლაიშვილი - ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი).

აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების პირობების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ნანა ყიფიანი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

ბ) თამარ ლომიძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისა და ბავშვთა სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ვლადიმერ მარგველაშვილი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიისა და იმპლანტოლოგიის კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) მანანა კალანდაძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

გ) სამსონ მღებრიშვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ქეთევან გოგილაშვილი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი:

ე) გიორგი მენაბდე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ყბა-სახის ქირურგიის კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.
ვ) შალვა ფარულავა - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ზ) სოფიო ფუთურიძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

15. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **მარია ზუბიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „სურფაქტანტ პროტეინ-D (SP-D) და დისლიპიდემია, როგორც გულის იშემიური დაავადებისა და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების რისკის და პროგნოზის მარკერი“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: პავლე მაჭავარიანი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; ნონა კაკაურიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი).

რეცენზენტები:

ა) მაია ბიწკინაშვილი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ბ) თამაზ მაღლაკელიძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ალექსანდრე ქისტაური - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;
ბ) თეიმურაზ მახარაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
გ) დარეჯან გაბუნია - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
დ) თამარ ბოჭორიშვილი - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ე) შოთა ჯანჯღავა - კენ ვოლკერის სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ვ) გიორგი ჩახუნაშვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მევნიერებათა დოქტორი;
ზ) მამანტი როგავა - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
თ) ნათია ჩხეიძე - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ი) ლიზი ფეიქრიშვილი - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

კ) თამარ ზერეკიძე - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ლ) ქეთევან ჩაგუნავა - „ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მე- 5 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების გათვალისწინების გარეშე, მის შემადგენლობაში არაა თსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. შესაბამისად, კენჭი ეყაროს მხოლოდ რეცენზენტების დამტკიცებას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: 1.დამტკიცდნენ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებად წარმოდგენილი კანდიდატები:
ა) მაია ბიწკინაშვილი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ბ) თამაზ მაღლაკელიძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი.
2. არ დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით. საკითხი განსახილველად დაუბრუნდეს ფაკულტეტის საბჭოს.

16. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **შალვა კევლიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ეპიდემიოლოგია მაღალი რისკის ჯგუფში მსმ-ში საქართველოში“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: თინა ქიტუაშვილი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის დერმატო-ვენეროლოგიის კათედრის პროფესორი, მედიცინის დოქტორი; გიორგი გალდავა - კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი).

რეცენზენტები:
ა) ნატო დურგლიშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ბ) ნანა ჩხიკვიშვილი - კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის ექიმი-დერმატოლოგი, მედიცინის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) მანანა სულაბერიძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, მედიცინის დოქტორი;
ბ) სოფიკო ლილუაშვილი - ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
გ) თამარ ებანოიძე - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

დ) ხათუნა კუდავა - ევროპის უნივერსიტეტის დერმატოლოგიური დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ე) იოსებ შურღაია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი;
ვ) ლევან ბარამიძე - თბილისის სახელმწიფომ სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის პოლიტიკისა და სამედიცინო ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორი;
ზ) მაია მათოშვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი.
აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მე- 5 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების გათვალისწინების გარეშე, მის შემადგენლობაში არაა თსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. შესაბამისად, კენჭი ეყაროს მხოლოდ რეცენზენტების დამტკიცებას.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: 1. დამტკიცდნენ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებად წარმოდგენილი კანდიდატები:
ა) ნატო დურგლიშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
ბ) ნანა ჩხიკვიშვილი - კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის ექიმი-დერმატოლოგი, მედიცინის დოქტორი
2. არ დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით. საკითხი განსახილველად დაუბრუნდეს ფაკულტეტის საბჭოს.

17. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **თინათინი ღიბრაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ბოტულინოტოქსინისა და ფრაქციული რადიოსიხშირის მიკრონემსებით მკურნალობის მეთოდების ეფექტურობის შედარებითი ანალიზი პირველადი ჰიპერჰიდროზით დაავადებულ პირებში“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: თინა ქიტუაშვილი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის დერმატო-ვენეროლოგიის კათედრის პროფესორი, მედიცინის დოქტორი, მარინა ლომიძე - ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის ექიმი-ენდოკრინოლოგი, მედიცინის დოქტორი).
რეცენზენტები:
ა) თამარ ებანოიძე - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

ბ) ხათუნა კუდავა - ევროპის უნივერსიტეტის დერმატოლოგიური დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) გიორგი გალდავა - კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი;

ბ) სოფიკო ლილუაშვილი - ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

გ) ნანა ჩხიკვიშვილი - კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის ექიმი-დერმატოლოგი, მედიცინის დოქტორი;

დ) მანანა სულაბერიძე - თსუ მედიცინის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, მედიცინის დოქტორი;

ე) გიორგი დურგლიშვილი - თსუ მედიცინის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, მედიცინის დოქტორი;

ვ) ირმა ბუჩუკური - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

ზ) ოლეგი ქვლივიძე - „ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის“ პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მე- 5 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების გათვალისწინების გარეშე, მის შემადგენლობაში არაა თსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. შესაბამისად, კენჭი ეყაროს მხოლოდ რეცენზენტების დამტკიცებას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: 1. დამტკიცდნენ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებად წარმოდგენილი კანდიდატები:

ა) თამარ ებანოიძე - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

ბ) ხათუნა კუდავა - ევროპის უნივერსიტეტის დერმატოლოგიური დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

2. არ დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით. საკითხი განსახილველად დაუბრუნდეს ფაკულტეტის საბჭოს.

18. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ დოქტორანტ **ნინო გაგნიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „მოდიფიცირებული სორბენტების შერჩევა მძიმე მეტალების ქრომის, თუთიის, ტყვიის და კადმიუმისაგან ზედაპირული წყლების გასაწმენდად”; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი ახალბედაშვილი - თსუ კავკასიის ალექსანდრე

თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი).

აზრი გამოთქვა: დ. თვალთვაძემ აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების პირობების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ზურაბ ფაჩულია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების პროფესორი, ქიმიის დოქტორი.

ბ) მაია ცინცაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი, ქიმიის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ბეჟან ჭანკვეტაძე - თსუ პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) რამაზ გახოკიძე - თსუ პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი;

გ) იოსებ ჩიკვაიძე - თსუ პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი;

დ) გიორგი ბეზარაშვილი - თსუ ასოც. პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი;

ე) მარინე რუხაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი;

ვ) ლერი გვასალია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

ზ) მაია რუსია - თსუ ასოც. პროფესორი, ქიმიის დოქტორი;

თ) ჟუჟუნა გურჯია - გამა-კონსალტინგის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ქიმიის დოქტორი;

ი) ანტონინა მსხილაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ქიმიის დოქტორი.

19. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **მათე ხვედელიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის წარმოშობილი საერთაშორისო საინვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და დავის გადაწყვეტის საშუალებები“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ცერცვაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი).

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების პირობების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ზვიად გაბისონია - თსუ იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) გიორგი სვანაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი .

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) თევდორე ნინიძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) თამარ ზამბახიძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

გ) გიორგი რუსიაშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

დ) გიორგი მახარობლიშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ე) ნათია ჩიტაშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ვ) მარიამ ცისკაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი;

ზ) ეკა ზარნაძე - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

20. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ბექა ზეგარდელის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი და მისი მიმართება საქართველოს რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებასთან“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვასილ გონაშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი).

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების პირობების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ზურაბ მაჭარაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) ეკა კაველიძე - ევროპის უნივერსიტეტის სამართლის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, სამართლის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ნანა ჭიღლაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) გიორგი კვერენჩხილაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

გ) გიორგი თევდორაშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

დ) ირაკლი კახიძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ე) გია გოგიბერიძე - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერისტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ვ) პაატა ჯავახიშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ზ) გოჩა ფერაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

21. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **კახა ფალავანდიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები უძრავ ნივთებზე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესარიონ ზოიძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი).

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების პირობების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) თამარ ჩიტოშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, სამართლის დოქტორი;

ბ) გიორგი რუსიაშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ირაკლი ბურდული - თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) ზურაბ ძლიერიშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

გ) ნათია ჩიტაშვილი - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

დ) ნატალია მოწონელიძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ე) სერგი ჯორბენაძე - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ვ) ეკა ზარნაძე - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ზ) ლალი ლაზარაშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე
დარეჯან თვალთვაძე

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი
მორის შალიკაშვილი